# საერთო გაზეთი

№12 (470) • 30 მარტი, 2018 წ. • სპეციალური გამოცემა • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლ.



მუცო

## ვახტანგ ხარჩილავა:

# ჩვენ ერთმანეთში ვიწყებით და ერთმანეთში ვგრძელდებით

**„დღეს განმუხურში გაიხსნება მშენებლობა. იქ თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით უნიკალური სასტუმრო აშენდება. გამყოფ ხაზთან მიჯრით, ყველაზე ახლოს და სასტუმროს უკან აშენდება ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს. ბოტანიკური ბაღის იდეა იყო ჩემი, უნიკალური ადგილია თავისი კლიმატით. თვალში გვხვდება, რომ უკანა ზოლი არ არის საკმაოდ გამწვანებული. ზუსტად გამყოფ ხაზთან ააშენებს თანაინვესტირების ფონდი სასტუმროს, წინ ზღვა და სასტუმროს უკან ბოტანიკური ბაღი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი აფხაზი ძმებისთვის შეთავაზება მინდოდა გამეკეთებინა, საქმიანი წინადადება, ხაზს იქითაც ვთავაზობ ასეთივე კლასის სასტუმროს აშენებას. გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც. ამავდროულად, სასტუმროდან ყველა მოგება ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მოხმარდებოდა. ამით წვლილი მინდოდა შემეტანა ჩვენი ურთიერთობების აღდგენაში. უნდა დავიბრუნოთ ის ნდობა, რაც საუკუნეების განმავლობაში გაგვაჩნდა.**

**იყო მცდელობა, ხმა მიგვეწვდინა. რეაქცია როგორი იყო, არ ვარ საქმის კურსში. ვფიქრობ, ვერ მოხდა ამ საკითხის შეჯერება. წინადადება იმდენად ჰუმანურია, არ მგონია, პოზიტიურის გარდა, სხვა რეაქცია მოჰყვეს“.** — აი, ასეთი განცხადება გააკეთა აფხაზების მისამართით 2016 წლის 26 სექტემბერს ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა**.

ქართველთა და აფხაზთა შორის ხიდჩატეხილობის და უბრობის თითქმის ოცდახუთწლიან ისტორიაში ქართველთა მხრიდან ეს არის ერთადერთი შეთავაზება აფხაზებისადმი, რომლის სანაცვლოდაც არავის არაფერი მოუთხოვია და არანაირი წინაპირობა არ წამოუყენებია, თუ არ ჩავთვლით იმ უკეთილშობილეს სურვილს, რომ დავიბრუნოთ ის ნდობა და სიყვარული, რაც აფხაზებს და ქართველებს საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან გვაკავშირებდა.

ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას არ აქვს პოლიტიკური შინაარსი, არ აქვს დიპლომატიური ქვეტექსტი, ეს არის ერთი კეთილშობილი ქართველი კაცის ძალიან გულწრფელი და ალალი მოწოდება შერიგებისკენ, დამდურებული და გაბუტული ძმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რაინდული, ღრმად ადამიანური და თანაგრძნობით განმსჭვალული საქციელი.

იმდენად ჰუმანურია ჩემი წინადადება, რომ არა მგონია, პოზიტიურის გარდა სხვა რეაქცია მოჰყვესო, — იმედოვნებდა ბიძინა ივანიშვილი, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, ივანიშვილის ეს წინადადება აფხაზთა მხრიდან მაინც პოლიტიკურ ხრიკად შეფასდა.

„ივანიშვილმა დაივიწყა, რომ ჩვენი ქვეყნები ჯერ კიდევ საომარ მდგომარეობაში არიან“, — განაცხადა ერთმა აფხაზმა ჩინოვნიკმა ივანიშვილის შეთავაზებასთან დაკავშირებით.

არა, ივანიშვილს არაფერი არ დავიწყნია, სწორედ ამ საომარი მდგომარეობიდან ნორმალურ, მშვიდობიან, ადამიანურ ურთიერთობებზე გადასვლის მიზნით გააკეთა მან ის მართლაც უნიკალური შეთავაზება.

ივანიშვილის შეთავაზება თუ დიალოგის, აზრთა გაზიარების, ურთიერთობათა დათბობის მოსამზადებელ სვლად ეჩვენება ვინმეს და სწორედ ამიტომ ტეხს განგაშს, კი, მაგრამ, რა არის ამაში საგანგაშო და მიუღებელი?

განა თვით აფხაზთა ეროვნულ ინტერესებში არ შედის საქართველოსთან დიალოგის დაწყება და ამ არანორმალური, ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის ძებნის მცდელობა.

— რა დროს ამგვარი ბიზნესინიციატივებია, როცა საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდია ბოდიში 1992-93 წლების ომის დაწყებისთვის, 2001 წლის ოქტომბრის და 2008 წლის მოვლენებისთვის, და, რაც მთავარია, არ უღიარებია აფხაზეთის დამოუკიდებლობა, — ასეთი რეპლიკაც გაისმა აფხაზთა მხრიდან ივანიშვილის შეთავაზების საპასუხოდ.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და, მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილს, არც 1992-93 წლების ომის დაწყებასთან, არც 2001-2008 წლების მოვლენებთან არანაირი კავშირი არ აქვს და, აქედან გამომდინარე, ქართველებსა და აფხაზებს შორის გახსნილი, გულწრფელი საუბრისთვის დღეს უდავოდ ხელსაყრელი გარემოა, რითაც, ქართველებთან ერთად, აფხაზებმაც უნდა ისარგებლონ, რომ ყინული როგორმე დაიძრას.

ერთმანეთს შორის ომი და ერთმანეთის განადგურება კი არა, ქართველთა და აფხაზთა უპირველესი მოვალეობა ერთმანეთის დაცვა და ერთმანეთის გადარჩენაა.

სწორედ ერთმანეთის გადარჩენისკენ და ერთმანეთის დაცვისკენ არის მიმართული ბიძინა ივანიშვილის ეს ისტორიული შეთავაზება, რომლის მნიშვნელობასაც ხვალ და ზეგ აუცილებლად მიხვდებიან აფხაზები, ოღონდ ის აფხაზები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ აფხაზეთი და არა ისინი, რომლებსაც ომისა და კონფრონტაციის ცეცხლზე ხელის მოთბობა სურთ და საკუთარი, პირადი ინტერესები ამოძრავებთ.





**რაც შეეხება ომის დაწყებას აფხაზების წინააღმდეგ, ეს ომი არ დაუწყია საქართველოს, ის დაიწყო შევარდნაძემ და დაიწყო არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს წინააღმდეგ.**

**აფხაზეთის ომი საქართველოს დასაპყრობად დაწყებული ამ დიდი ომის ერთ-ერთი ტრაგიკული ფრაგმენტია.**

ის, რაც ახლა ვთქვი, ჯერ არავის უთქვამს და არავის შეუხედავს ამ კუთხით გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებისთვის, თუმცა, რასაც ვამბობ, ეს რომ სიმართლეა, ამის დასამტკიცებლად იმ ფაქტების გახსენებაღაა საჭირო, რომლებიც ჩვენს თვალწინ, მათ შორის, აფხაზების თვალწინ მოხდა.

**ჯერ თბილისი დაიპყრო შევარდნაძემ და კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება საქართველოდან გააქცია, მერე თავისი „განმათავისუფლებელი არმიით“ და ბანდფორმირებებით სამეგრელოს გადაუარა ხუთგზის, ცოტა მოგვიანებით კი აფხაზეთის დასაპყრობად გაეშურა, რაც იმით დამთავრდა, რომ შევარდნაძემ სამასი ათასი ქართველი გამოილალა ცხვრის ფარასავით და ისე დაბრუნდა უკან.**

შევარდნაძის ბანდები ზუსტად ისე ექცეოდნენ სამეგრელოს მოსახლეობას ანუ „თავისიანებს“, როგორც მოგვიანებით აფხაზებს და აფხაზეთის მოსახლეობას — ძარცვავდნენ, კლავდნენ, წვავდნენ, აუპატიურებდნენ.

ბანდიტს არ აქვს ეროვნება, ბანდიტი ყველგან ბანდიტია და ყველგან, სოხუმშიც, თბილისშიც, სამეგრელოშიც, აფხაზეთშიც ერთნაირად იქცევა.

**მოკლედ რომ მოვჭრათ, შევარდნაძემ, სანამ აფხაზეთს შეუტევდა „წესრიგის დასამყარებლად“, ჯერ ჩვენ, ქართველები და საქართველო დაგვიპყრო** და იმდენი უბედურება დაგვატეხა თავს, ამ უბედურებებისგან ბოლომდე თავის დაღწევას დღემდე ვერ ვახერხებთ.

ასე რომ, როცა აფხაზები ბოდიშის მოხდას ითხოვენ საქართველოსგან 1992-93 წლების ომის დაწყების გამო, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოება, რომ, როგორც ვთქვით, თვითონ საქართველო იყო იმ წლებში გარედან მართული პოლიტიკური ავანტურისტების აგრესიის მსხვერპლი.

**თუ ბოდიშის მოხდაზე მიდგა საქმე, საქართველოს ვინ მოუხდის ბოდიშს 300 000 დევნილის გამო, ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქის გამო და, საერთოდ, ყველა იმ შემზარავი და შემაძრწუნებელი ტრაგედიის გამო, რაც ქართველებს დაატყდათ თავს აფხაზეთში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქართველები იყვნენ?**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება დიამეტრალურად განსხვავდება შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებებისგან, განსხვავდება თავისი ლოიალურობით, ჰუმანურობით, დემოკრატიული პრინციპების პატივისცემით, კაცთმოყვარეობით.

გამომდინარე აქედან, სწორედ დღეს არის იმის შანსი, რომ აფხაზებს და ქართველებს შორის ბოლოს და ბოლოს დაიწყოს გულახდილი, გულწრფელი, ურთიერთმიტევებაზე დაფუძნებული საუბარი.

ასე რომ, ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან და ბატონი ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებასაც ცოტა სხვა თვალით და სხვა კუთხით შეხედეთ.

სხვათა შორის, ივანიშვილის შეთავაზებაში არის ერთი საოცარი შტრიხი, რომელმაც არ შეიძლება სასიამოვნოდ არ აგაღელვოთ და გულგრილი დაგტოვოთ.

როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე, განმუხურში მშენებარე უნიკალური სასტუმროს ტყუპისცალი სასტუმროს აშენებაზე საუბრობს, ივანიშვილი იქვე ამატებს: „გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქითაც“.

როგორი სიმბოლური იდეაა ეს, თუ გამგები გაიგებს...

ქართველები და აფხაზები, ჩვენ ერთმანეთის გაგრძელებები ვართ და ვინც არ უნდა ჩაერიოს, ვინც არ უნდა ჩადგეს ჩვენს შორის, ამ საერთო ბედისწერას ვერავინ შეცვლის და ვერავინ შეაჩერებს — ჩვენ მაინც გავგრძელდებით ერთმანეთში, რადგან ერთმანეთისგან ვიწყებით.

* * *

მცირე ფრაგმენტი მინდა შემოგთავაზოთ ერთი ჩემი ძველი წერილიდან:

„ — „აფხაზაცალო წირილი კოჩი რე“, ანუ „აფხაზივით დახვეწილი (დაწურული, რაფინირებული) კაციაო“, — იტყოდნენ ხოლმე მეგრელები, როცა ვიღაცის შექება და მისი შინაგანი დახვეწილობის, ზრდილობისა და წესიერებისთვის უნდოდათ ხაზის გასმა.

აფხაზი კაცი მეგრელისთვის წესიერების, ვაჟკაცობისა და ინტელიგენტურობის განსახიერება იყო.

ასეთი თვალით შეხედვა და ამგვარი შეფასება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც უყვარხარ, ხოლო სადაც სიყვარულია, იქ ურთიერთპატივისცემა, ურთიერთკრძალვა, ურთიერთრიდიც არის.

აფხაზისა და მეგრელის ურთიერთობა ეს ცალკე ფენომენია, უნიკალური მოვლენაა, რომელსაც ანალოგი თითქმის არ აქვს.

მეგრელსა და აფხაზს არასოდეს უცდიათ, ერთმანეთისთვის შეეზღუდათ თავისუფლება, რადგან ერთმაც და მეორემაც შესანიშნავად იცოდა, რომ თავისუფლება თანაარსებობის ხელოვნებაა.

**უბრალო ადამიანებმა, მწყემსებმა, გლეხებმა, მეჯოგეებმა, უბრალო აფხაზებმა და მეგრელებმა მოიფიქრეს და შეძლეს დაეფუძნებინათ მორდუობის ინსტიტუტი, როცა აფხაზი მეგრელს აბარებდა შვილს გასაზრდელად და პირიქით — მეგრელი აფხაზს აზრდევინებდა ძესა თუ ასულს.**

**უფრო გონივრული, შორსმჭვრეტელური, დიდებული და დიადი რამ არ შეუქმნიათ და არ მოუფიქრებიათ ერთად შეკრებილ გაეროს და ეუთოს, თავისი მრავალრიცხოვანი ინსტიტუტებით, მეცნიერებით, ფსიქოლოგებით, კონფლიქტოლოგებით, პოლიტიკოსებით...**

აფხაზის სახლში გაზრდილი მეგრელი და, პირიქით, მეგრელის სახლში გაზრდილი აფხაზი, ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ერთმანეთის ზნეს და ხასიათს და მერე, როცა საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ, თან მიჰქონდათ ბავშვობაში შესისხლხორცებული ერთმანეთის კულტურა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული.

როგორ გავაგებინო ან გაიგებს კი ყოველივე ამას ბუტროს ბუტროს გალი, კოფი ანანი ან მუნი, ან სულაც ჩვენს გამშველებლად მოსული ცისფერჩაფხუტიანი რუსი?

ომი ომია, ომში ადამიანები იღუპებიან და ეს უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ ქართულ-აფხაზურ ომში კიდევ მოხდა სხვა ტრაგედია, ადამიანთა მსხვერპლზე არანაკლებ მძიმე და შემზარავი ტრაგედია — საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ღირებულებების, ამ ღირებულებათა სისტემის ნგრევა, ეთნოფსიქიკის დეგრადაცია.

ცოტათი ჭკუიდან ხომ არ გადავდექით ჩვენ — აქედანაც და იქიდანაც — თორემ, როდის იყო, ნათესავი ნათესავს იმეტებდა, მეზობელი — მეზობელს, ბიძაშვილი — ბიძაშვილს, მოგვარე — მოგვარეს,

ჩვენ, ამ საქმის ჩამდენნი, იმქვეყნად მამა-პაპათ რომ მოვუვალთ, როგორ ვუთხრათ ჩვენს წინაპრებს, რაც დაგვემართა, როგორ ავუხსნათ და რით ვიმართლოთ თავი?

ჩვენს მორდუებს რცხვენიათ-მეთქი, ჩვენს ნაცვლად საფლავში და მხოლოდ ლამაზი სიტყვებისთვის არ მითქვამს ეს...

— ხშირი იყო იყო შემთხვევები, როცა აფხაზები გვიფარავდნენ,



გვმალავდნენ, გვპატრონობდნენ, — გამიგონია დევნილთაგან.

მე არ ვარ აფხაზეთიდან, ამ მოვლენების უშუალო მომსწრე არ გახლავართ, ამიტომაც არ ვიცი, მართლა ასე იყო სინამდვილეში თუ ეს დევნილი ქართველი იგონებს რაღაცას და თავის ძმას, აფხაზს, სიძულვილისთვის ვერ იმეტებს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად უდიდესი ტკივილისა და წყენისა.

**გასაოცარი ამბავია — ამ დევნილ ქართველს მაინც აფხაზი ენატრება...**

**თქვენ, ძმებო აფხაზებო, თქვენ არ გენატრებათ ესენი — თქვენი ნათესავები, მეზობლები, მეგობრები?**

* * *

არ დაიჯეროთ თქვენ, აფხაზებო, რომ ჩვენ, ქართველები, ევროპელები ვართ! ჩვენც ისეთივე კავკასიელები ვართ, როგორც თქვენ — „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი“, — ხომ გახსოვთ ეს ლექსი?

მართალია, ბოლო ორი სტრიქონი მთლად ზუსტად არ გამოხატავს ქართველთა ერთი ნაწილის სადღეისო სულისკვეთებას და ზოგს აქ სიკვდილს სხვაგან სიცოცხლე ურჩევნია, მაგრამ პირველი ორი სტრიქონი წყალგაუვალი სიმართლეა — კავკასიის მთების შვილები ვართ. ჩვენც კავკასიელები ვართ; კავკასიელებმა კი მტრობა იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ შერიგებაც!

დგებოდა ჟამი, როდესაც თვითგადარჩენის ინსტინქტი დაპირისპირებულ მხარეებს სხვა ალტერნატივას არ უტოვებდა, გარდა ერთისა — შერიგება და მშვიდობის ჩამოგდება, რადგან ომის გაგრძელება როგორც ერთი, ისე მეორე მხარის განადგურებას ნიშნავდა.

შერიგება რომ არ გვცოდნოდა, სოფელი სოფელს ამოწყვეტდა, გვარი — გვარს, ტომი — ტომს.

პირველი და მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ ხუთ წელიწადს გრძელდებოდა, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება ოც წელზე მეტია ვერ დავამთავრეთ.

ისეთი რა ომია ეს, რომ წერტილი ვერა და ვერ დავუსვით?

იქნებ სულაც არ არის ეს ჩვენი ომი და იმიტომაც ვერ ვახერხებთ მის დამთავრებას? ამდენი ხნის გამავლობაში გონიერება თუ არა, თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც რატომ არ იღვიძებს ჩვენში?

აბა, კარგად დავფიქრდეთ — ვინც საქმე ისე მოაწყო, რომ სამასი ათასი კაცი იძულებული გახადა აფხაზეთი დაეტივებინა, განა შურისძიებისთვის გამზადებული სამასათასკაციანი ლაშქარი არ დაუპირისპირა აფხაზებს, რითაც მოსალოდნელი დარტყმის მუდმივი საფრთხის ქვეშ დააყენა ისინი, ეს კი იმიტომაც გააკეთა, რომ მცირერიცხოვან აფხაზთათვის უსაფრთხოების გარანტად, მცველად თუ ფარად საკუთარი თავი შეეთავაზებინა.

დღეს, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთში აფხაზებს რიცხობრივად სომხები სჭარბობენ.

ემანდ, ფრთხილად იყავით — სუვერენული და დამოუკიდებელი აფხაზეთის ნაცვლად სუვერენული და დამოუკიდებელი მინისომხეთი არ შეგრჩეთ ხელთ, რომლისთვისაც სახელწოდება აფხაზეთი ფსევდონიმი იქნება მხოლოდ.

როგორც ჩანს, მავანთ აფხაზეთში ქართველთა ყოფნა უშლიდათ ხელს და უოკებდათ მადას, თორემ, როგორც კი აფხაზები დაიმარტოხელეს, ბევრმა მყისვე გამოაჩინა თავისი თავი და ხვაშიადიც გაამჟღავნა: — აფხაზეთი აფხაზებისთვის კი არა, თავისთვის უნდოდათ, აფხაზებისთვის კი არა, თავისი თავისთვის ომობდნენ“.

* * *

...ამ წერილის წერისას სულ თვალწინ მედგა ერთი კაცი, რომელზეც ჯერ არაფერი მითქვამს.

ეს არის ალექსეი თარია, აფხაზი მწერალი და პუბლიცისტი, აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭეშმარიტი აფხაზი.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა ზარ-ზეიმით და ტაშ-ფანდურით აღნიშნა.

ვიღაც-ვიღაცები, ცხენებზე ამხედრებულნი, სოხუმის ქუჩებში დაჰქროდნენ და გამარჯვების ყიჟინას სცემდნენ.

უყურა, უყურა ალექსი თარიამ ამ შემაძრწუნებელ თარჩიას, მერე აიღო ბარი, იქვე, თავისი სახლის მახლობლად, სერზე საფლავი გათხარა და შიგ ჩაწვა — ჭკუიდან გადასულან აფხაზები და ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვსო.

ვინ არ მიუგზავნეს ალექსი თარიას, რა არ უთხრეს, რას არ შეჰპირდნენ, მაგრამ საფლავიდან ვერაფრით ამოიტყუეს — აფხაზეთი მოკვდა და მეც უნდა მოვკვდეო, ამბობდა და ახლოს არავის იკარებდა.

რომ ვერაფერს გახდნენ, თარიას საფლავს ფიცრებით შეკრული ღობე შემოავლეს, რომ საკუთარი ნებით ცოცხლად დამარხული კაცი უცხო თვალისთვის მოერიდებინათ.

სამი კვირა და ორი დღე იწვა სამარეში ალექსი თარია და მხოლოდ 2 მაისს, უკვე გონდაკარგული და სულთმობრძავი, როგორც იქნა, „ამოასვენეს“ საფლავიდან.

ალექსი თარია სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ თანამემამულეთა რისხვას — ვერა!

ის იძულებული გახადეს, აფხაზეთი დაეტოვებინა და მას შემდეგ ალექსი თარია აფხაზეთში ვერ ბრუნდება, ხოლო 9 აპრილს ამოთხრილი მისი საფლავი დღემდე ღია ჭრილობასავით ამჩნევია აფხაზეთის მიწას...

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუ"-ს საქმიანობის 2017 წლის პროგრამული ანგარიში

| № | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| | კულტურა (ხელოვნება) | |
| 1 | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | |
| 1,1 | ხელოვნების დამსახურებული მუშაკები (სოციალური დახმარება) | 3 107 600,00 |
| 1,2 | შ.რუსთაველის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 412 200,00 |
| 1,3 | კ.მარჯანიშვილის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 412 470,00 |
| 1,4 | მ.თუმანიშვილის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 121 716,00 |
| 1,5 | ალ.გრიბოედოვის სახ.თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 412 497,00 |
| 1,6 | ნ.დუმბაძის სახ.მოზარდ მაყურებელთა თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 186 915,96 |
| 1,7 | მარიონეტების სახელმწიფო თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 112 500,00 |
| 1,8 | თითების თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 61 200,00 |
| 1,9 | ვ.აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 40 500,00 |
| 1.10 | თბილისის თეატრალური ცენტრი-თავისუფალი თეატრი (მსახიობების სოციალური დახმარება) | 149 994,00 |
| 1,11 | თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პედაგოგების სოციალური დახმარება) | 129 600,00 |
| 1,12 | ანსამბლი "რუსთავი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 86 400,00 |
| 1,13 | ანსამბლი "რუსთავი" (მოცეკვავეთა სოციალური დახმარება) | 78 300,00 |
| 1,14 | ანსამბლი "ქართული ხმები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 360 000,00 |
| 1,15 | ანსამბლი "ქართული ხმები" უმცროსი თაობა (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 68 850,00 |
| 1,16 | ანსამბლი "თბილისი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 86 400,00 |
| 1,17 | ანსამბლი "სავანე" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 54 000,00 |
| 1,18 | ანსამბლი "სავანე 2006" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 58 500,00 |
| 1,19 | ანსამბლი "იმერი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 54 000,00 |
| 1.20 | ანსამბლი "დიელო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 54 000,00 |
| 1,21 | ანსამბლი "რერო" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 54 000,00 |
| 1,22 | ანსამბლი "ორერა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 27 000,00 |
| 1,23 | ანსამბლი "ივერია" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 99 000,00 |
| 1,24 | ანსამბლი "ქუჩის მუსიკოსები" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 63 900,00 |
| 1,25 | ანჩისხატის ეკლესია (მგალობელთა გუნდის სოციალური დახმარება) | 45 000,00 |
| 1,26 | კვარტეტი "ფიროსმანი" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 13 500,00 |
| 1,27 | ანსამბლი "ოროველა" (მომღერალთა სოციალური დახმარება) | 63 000,00 |
| 1,28 | ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 27 315,00 |
| 1,29 | ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახ. მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 20 520,00 |

| | | |
|---|---|---|
| 1.30 | ვარძიის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 22 500,00 |
| 1.31 | აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 27 315,00 |
| 2 | საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი"რუსული კლუბი" (პროექტები: ჟურნალ "რუსული კლუბი"-ს გამოცემა, ნორჩი მსახიობის თეატრი-სტუდია "ზოლოტოე კრილცო", საახალწლო წარმოდგენა.) | 421 850,56 |
| 3 | ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია) | 11 919 084,03 |
| 4 | სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (საპრემიერო სპექტაკლის "კარმენი" დადგმა) | 15 285,37 |
| 5 | სსიპ "საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი" (მეფე ერეკლე ინგლისურ პრესაში) | 33 060,00 |
| 6 | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (ლიტერატურული თეატრი-ქართველი მწერლების ნაწარმოებების აუდიო წიგნებად გამოცემა) | 21 875,00 |
| 7 | ბურჯულაძე ნინა (წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხევლის მოხატვის კონცეფციის და შინაარსის შემუშავება) | 6 617,00 |
| 8 | ააიპ "კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი დღეს" ("რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი 2017) | 48 800,00 |
| | **სპორტი** | |
| 1 | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | |
| 1,1 | სპორტსმენები და მწვრთნელები (სოციალური დახმარება) | 1 300 000,00 |
| 1,2 | საქ. ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია | 93 750,00 |
| 1,3 | წყალბურთის სპორტული კლუბი "ივერია" | 195 000,00 |
| 1,4 | საქ. სამბოს ეროვნული ფედერაცია | 104 148,54 |
| 1,5 | საქართველოს რაგბის კავშირი | 1 700 000,00 |
| 1,6 | რაგბის კლუბი "ლელო" | 29 995,00 |
| 1,7 | რაგბის კლუბი "ყოჩები" | 30 000,00 |
| 1,8 | საქ. მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია | 123 957,92 |
| 1,9 | საქ. ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია | 48 750,00 |
| 1.10 | საქ. სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია | 33 749,90 |
| 1,11 | საქ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია | 104 999,96 |
| 1,12 | საქ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია | 111 214,00 |
| 1,13 | საქ. კრივის ეროვნული ფედერაცია | 75 000,00 |
| 1,14 | საქ. კიოკუშინკაი კარატედოს ფედერაცია | 56 250,00 |
| 1,15 | საქ. ჩოგბურთის ფედერაცია | 89 991,00 |
| 1,16 | საქ. სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია | 232 494,29 |
| 1,17 | საქ. ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია | 49 500,00 |
| 1,18 | საქ. ხელბურთის ეროვნული ფედერაცია | 102 005,64 |
| 1,19 | საქ. ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაცია | 37 500,00 |
| 2 | საფეხბურთო კლუბი "საჩხერის ჩიხურა" | 500 000,00 |
| 3 | საჩხერის სარაგბო კლუბი "ჯრუჭი" | 60 000,00 |
| | **მედიცინა** | |
| 1 | ექიმების სოციალური დახმარება (საქველმოქმედო-სამედიცინო საქმიანობა საჩხერის რაიონში) | 55 200,00 |
| 2 | კავშირი "დოსტაქარი" (საჩხერის საავადმყოფოს ფუნქციონირება, ურეკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება) | 450 000,00 |
| 3 | ააიპ "როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაიას ფონდი საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობისა და მომავლისათვის" (ახალშობილთა სკრინინგი გულის მანკის კრიტიკული ფორმების გამოსავლენად) | 164 640,31 |
| 4 | ფიზიკური პირების მკურნალობის დაფინანსება | 479 229,09 |

| | | |
|---|---|---|
| | **მეცნიერება** | |
| 1 | სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" | |
| 1,1 | ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (პროექტი-"საქ. ეროვნული ბოტანიკური ბაღის განვითარების ძირითადი მიმართულებები 2017 წელს", თანამშრომლების ხელფასები და სამეცნიერო მივლინებები.) | 717 612 |
| 1,2 | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი (პროექტი-"ბოტანიკის ინსტიტუტის განვითერება 2017 წელს", თანამშრომლების ხელფასები, ავტოტრანსპორტის მომსახურება, ბოტანიკური ექსპედიციები და სამეცნიერო მვლინებები, საოფისე ხარჯები.) | 168 750 |
| 1,3 | მეცნიერებათა აკადემიიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები (სოციალური დახმარება) | 642 750 |
| 1,4 | ბათუმის ბოტანიკური ბაღი (თანამშრომლების სოციალური დახმარება) | 245 970 |
| 1.5 | სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" (თანამშრომლების ხელფასები) | 4 800 |
| 2 | ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის განვითარების ხელშეწყობა 2017) | 20 000,00 |
| | **განათლება** | |
| 1 | ააიპ "კავკასიის ფრანგული სკოლა" (სკოლის შენობის იჯარა) | 390 000,00 |
| 2 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი-"საქართველოს მასშტაბით სასკოლო ოლიმპიადის ორგანიზება სამოქალაქო განათლებაში") | 491 619,32 |
| 3 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი-"ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდასაჭერი კონკურსის ორგანიზება") | 401 759,02 |
| 4 | ააიპ "მოქალაქე" (პროექტი-"საზაფხულო ეკობანაკი-2017") | 184 765,00 |
| 5 | ააიპ "მოქალაქე" (ახალგაზრდული ორგანიზაციის "სამოქალაქო ინიციატივების პლატფორმის" ხელშეწყობა) | 25 159,75 |
| 6 | ააიპ "მოქალაქე" (ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლა) | 55 806,20 |
| 7 | სსიპ "საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი" (საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევითი პროცესის მომზადება) | 480 177,90 |
| 8 | სსიპ "საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი" (სადოქტორო პროგრამა უცხოეთში) | 84 046,56 |
| 9 | სსიპ "საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი" (სამაგისტრო პროგრამა) | 14 625,00 |
| 10 | ააიპ "ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსი (ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის განვითარება) | 621 971,25 |
| 11 | სსიპ "შ.რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" (წმიდა ტბელ აბუსერისძის სახ.სასწავლო უნივერსიტეტი) | 180 000,00 |
| 12 | კემპანილის ფონდი-სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (საგანმანათლებლო პროექტის ფინანსური მხარდაჭერა (სტუდენტების სწავლის დაფინანსება)) | 495 385,31 |
| 13 | მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენები და საქართველო-წიგნების სერიის მომზადება | 50 436,98 |
| | **რეგიონალური განვითარება (ასოციაცია "ატუ")** | |
| 1 | პროექტი-"თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები) | 3 649 600,00 |
| 2 | პროექტი-"ქ.ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები" (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები) | 2 278 300,00 |
| 3 | პროექტი-"ქ. თბილისში სარაგბო ბაზა "ავჭალა"-ს რეკონსტრუქცია" (სარემონტო სამუშაოები) | 562 500,00 |
| 4 | პროექტი-"ქ. თბილისში, დიღმის მასივში "ლოკომოტივი"-ს სარაგბო ბაზის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 986 400,00 |
| 5 | პროექტი-"ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატოზე სარაგბო ბაზის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 448 000,00 |
| 6 | პროექტი-"ქ. ქუთაისი, ბავშვთა რაგბის აკადემიის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 280 000,00 |
| 7 | პროექტი-"ქ. თელავი, რაგბის რეგიონალური ბაზის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 4 350 000,00 |
| 8 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "ავჭალა" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმეტიკური რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 187 500,00 |
| 9 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "ავჭალა" მოედნის განათების გაუმჯობესება" (სარემონტო სამუშაოები) | 1 150 000,00 |
| 10 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "მარტყოფი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმეტიკური რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 62 500,00 |
| 11 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "შევარდენი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმეტიკური რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 212 500,00 |
| 12 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "რუსთავი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმეტიკური რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 312 500,00 |
| 13 | პროექტი-"სარაგბო ბაზა "ქუთაისი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმეტიკური რემონტი" (სარემონტო სამუშაოები) | 75 000,00 |

| | | |
|---|---|---|
| 14 | პროექტი-"არსებული რაგბის სტადიონების შენახვის ხარჯები-2017" | 1 320 450,00 |
| 15 | პროექტი-"სარაგბო კომპლექსებში: "ავჭალა", "შევარდენი" "რუსთავი" და "ქუთაისი" ტაბლოს მონტაჟი და ინტერნეტით უზრუნველყოფა" (სარემონტო სამუშაოები) | 250 000,00 |
| 16 | პროექტი-"ბათუმის დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია" (სამშენებლო სამუშაოები) | 4 372 200,00 |
| 17 | პროექტი-"ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია" (სამშენებლო სამუშაოები) | 585 000,00 |
| 18 | პროექტი-"ოზურგეთის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 2 564 900,00 |
| 19 | პროექტი-"ქ. ზუგდიდის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 170 000,00 |
| 20 | პროექტი-"ქ. ბათუმის ბულვარში მდებარე კაფე "ფანტაზია"-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 415 100,00 |
| 21 | პროექტი-"ურეკის თემატური პარკის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 1 974 200,00 |
| 22 | პროექტი-"მუსიკოსთა პარკის მოწყობა სოფელ ნატანებში საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ" (სამშენებლო სამუშაოები) | 658 200,00 |
| 23 | პროექტი-"დაბა ჩაქვში გზის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები" | 312 600,00 |
| 24 | პროექტი-"ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 473 600,00 |
| 25 | პროექტი-"ჯანდაცვა და სოციალური რეაბილიტაცია" (საჩხერის რაიონის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური დახმარება) | 971 600,00 |
| 26 | პროექტი-"ეკოლოგია" (ბუნების დაცვის სამსახურის მატერიალური დახმარება) | 51 600,00 |
| 27 | პროექტი-"საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარება" (ჭორვილის რიტუალების სახლის და სკოლის აუზის მატერიალური დახმარება) | 384 405,00 |
| 28 | პროექტი-"შადრევანის მოწყობა სოფელ ნატანებში საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ" (სამშენებლო სამუშაოები) | 5 260 000,00 |
| 29 | პროექტი-"ს. მანავის სამხედრო ნაწილის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია" (სამშენებლო სამუშაოები) | 66 800,00 |
| 30 | პროექტი-"სარკინიგზო სადგურ "ურეკსა" და სარკინიგზო სადგურ "ნატანებს" შორის მშენებარე ბაქნიდან საკონცერტო დარბაზ "ბლექ სი არენამდე" მისასვლელი გზის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 448 828,00 |
| 31 | პროექტი-"საგურამოში დ. გურამიშვილის მუზეუმისა და პარკის რეაბილიტაცია" (სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 96 000,00 |
| 32 | პროექტი-"ქ. თბილისის პეტრე ადამიანის სახ. სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები" (სამშენებლო სამუშაოები) | 350 000,00 |
| 33 | პროექტი-"ბათუმი-ქობულეთის ცენტრალურ მაგისტრალზე, პეტრას ციხის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 75 000,00 |
| 34 | პროექტი-"დაბა შეკვეთილსა და წვერმაღალაში სარკინიგზო ბაქნების მოწყობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 465 000,00 |
| 35 | პროექტი-"სოფელ ციხისძირის ინფრასტრუქტურის მოწყობა-II ეტაპი" (სამშენებლო სამუშაოები) | 210 000,00 |
| 36 | პროექტი-"ოზურგეთი-ნატანები-ურეკის კმ.21+000 საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია" (სამშენებლო სამუშაოები) | 840 000,00 |
| 37 | პროექტი-"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკალდიდის ხიდის მშენებლობა" (სამშენებლო სამუშაოები) | 130 000,00 |
| 38 | პროექტი-"ქონების დაგროვება და სხვა საგრანტო პროგრამების განხორციელება" (სამშენებლო ტექნიკის შეძენა) | 1 650 000,00 |
| | **სოციალურად დაუცველი პირების დახმარება** | |
| 1 | ჯავახეთის ქ.ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ ბავშვთა პანსიონატი (დახმარება) | 180 000,00 |
| 2 | ააიპ საქველმოქმედო ფონდი "ჩემი სახლი" (ყიფშიძის ქუჩა №13ა-ში მდებარე ბავშვთა სახლის კომუნალური გადასახადები) | 19 216,45 |
| 3 | სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირები (დახმარება) | 563 611,94 |
| 4 | ქ.ზუგდიდის სოციალურად დაუცველი პირები (დახმარება) | 90 800,00 |
| 5 | ომის ვეტერანები (დახმარება) | 72 000,00 |
| | **სხვადასხვა პროექტები** | |
| 1 | ააიპ "ოუფენ ნეტი" (ფართოზოლოვანი მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა) | 996 357,22 |
| 2 | ააიპ "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამრთლებრივი ადვოკატირების პროექტი) | 413 896,00 |
| | **სხვადასხვა** | |
| 1 | ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები | 668 233,65 |
| | სულ | 78 134 673,12 |

# საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

## 2017 წლის ბალანსი

| აქტივი | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქონი) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | | | | მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე --------------------------- (1200) | 010 | 13 397,78 | 7 469 276,82 | მოწოდ. და მომსახურებ. წარმოქმნილი ვალდებ------(3110) | 150 | 124,25 | 87,00 |
| მოთხოვნები საგადასახადო ვალდებულებებიდან -(1425) | 020 | 2 303,73 | 2 303,73 | გადასახდელი ხელფასები ---------------------------------- (3130) | 160 | 1 221,63 | 1 221,63 |
| სხვა დებიტორები ---------------------------------------------- (1435) | 030 | 2 052,57 | 2 052,57 | სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ----------------- (3190) | 170 | 4 570 557,21 | 6 221 346,40 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი ------------------- (1600) | 040 | 790,00 | 790,00 | მოკლევადიანი სესხები --------------------------------------- (3200) | 180 | 0,00 | 0,00 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები ---------------------------- (1700) | 050 | 1 377,00 | 0,00 | საგადასახადო ვალდებულებები ------------------------- (3300) | 190 | 0,00 | 0,00 |
| დარიცხული მოთხოვნები ------------------------------- (1800) | 060 | 4 570 557,21 | 6 221 346,40 | | 200 | | |
| სულ მიმდინარე აქტივები | 070 | 4 590 478,29 | 13 695 769,52 | სულ მიმდინარე ვალდებულებები | 210 | 4 571 903,09 | 6 222 655,03 |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| მიწის ნაკვეთები ---------------------------------------------- (2110) | 080 | 607 600,00 | 607 600,00 | გრძელვადიანი ვალდებულებები ------------------------- (4220) | 220 | 0,00 | 0,00 |
| შენობები ----------------------------------------------------------- (2130) | 090 | 1 706 948,53 | 1 699 799,85 | სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | 230 | 0,00 | 0,00 |
| ოფისის აღჭურვილობა ------------------------------------ (2160) | 100 | 1 086,74 | 4 224,59 | საკუთარი კაპიტალი | | | |
| გრძელვადიანი ინვესტიციები -------------------------- (2400) | 110 | 63 165,07 | 63 165,07 | საწესდებო კაპიტალი ----------------------------------------- (5100) | 240 | 20 000,00 | 20 000,00 |
| არამატერიალური აქტივები ----------------------------- (2500) | 120 | 158,16 | 134,44 | რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება---------------(5400) | 250 | 2 377 533,70 | 9 828 038,44 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 130 | 2 378 958,50 | 2 374 923,95 | სულ საკუთარი კაპიტალი | 260 | 2 397 533,70 | 9 848 038,44 |
| სულ აქტივები | 140 | 6 969 436,79 | 16 070 693,47 | სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | 270 | 6 969 436,79 | 16 070 693,47 |

## საქმიანობის შედეგების (მოგება–ზარალის) წლიური ანგარიშგება 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება –საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “ქართუ”

ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა –ორგანიზაცია

იურიდიული მისამართი – ჭავჭავაძის 39ა

დარგი (საქმიანობის სახე) – ქველმოქმედება

| მაჩვენებლების დასახელება | შემოსავლები | ხარჯები |
|---|---|---|
| შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | | |
| შემოსავლები | | |
| შემოწირულობები | 85 494 143,27 | x |
| სხვა შემოსავლები (დაბრუნებული თანხები, საკურსო სხვაობა) | 91 034,59 | |
| სულ შემოსავლები | 85 585 177,86 | x |
| | | |
| ხარჯები | | |
| საქველმოქმედო პროექტების ხარჯები | x | 77 466 439,47 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | x | 436 683,23 |
| სხვა ხარჯები (საკურსო სხვაობა) | | 231 550,42 |
| სულ ხარჯები | | 78 134 673,12 |
| | | |
| წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება) | | 7 450 504,74 |
| | | |

# ა(ა) იპ „ასოციაცია ატუ“-ს 2017 წლის საგრანტო ფინანსირების პროგრამული ანგარიში

| საგრანტო ხელშეკრულებები | (ათასი ლარი)<br>ფაქტიურად მიღებული ფინანსირება |
|---|---|
| **მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსდა:** | **44 650 283** |
| ავჭალა, შევარდენი, რუსთავი და ქუთაისი-ს სარაგბო კომპლექსებში ტაბლოს მონტაჟი და ინტერნეტით უზრუნველყოფა | 250 000,00 |
| არსებული რაგბის სტადიონების შენახვის 1 ეტაპი | 220 075,00 |
| არსებული რაგბის სტადიონების შენახვის 2 ეტაპი | 1 100 375,00 |
| ბათუმის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო სამუშაოები | 473 600,00 |
| ბათუმის ბულვარში მდებარე კაფე ,,ფანტაზია"-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები | 415 100,00 |
| ბათუმის დრამატული თეატრის რეკონსტუქცია | 4 201 600,00 |
| დაბა ჩაქვში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 312 600,00 |
| ეკოლოგიური პროექტები | 43 000,00 |
| ზუგდიდის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 170 000,00 |
| თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები | 3 649 600,00 |
| თბილისში ნუცუბიძის პლატოზე სარაგბო ბაზის მშენებლობა | 2 448 000,00 |
| თელავში რაგბის რეგიონალური ბაზის მშენებლობა | 4 350 000,00 |
| მანავის სამხედრო ნაწილის წყალმომარაგების მოწყობა | 66 800,00 |
| მუსიკოსთა პარკის მოწყობა | 488 300,00 |
| ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | 590 000,00 |
| ოზურგეთის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 2 564 900,00 |
| ოზურგეთის-ნატანები-ურეკის კმ 21+000 საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია | 840 000,00 |
| პეტრას ციხის ინფრასტრუქტურის მოწყობა | 50 000,00 |
| რაგბის სტადიონი ,,ავჭალა"-ს განათების გაუმჯობესება | 1 150 000,00 |
| რაგბის სტადიონის ,,ლოკომოტივი"-ის მშენებლობა დიღომში | 2 986 400,00 |
| საგურამოში დ.გურამიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიატაცია | 96 000,00 |
| სარაგბო ბაზა ,,ავჭალა" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის კოსმეტიკური რემონტი | 190 000,00 |
| სარაგბო ბაზა ,,მარტყოფი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის კოსმეტიკური რემონტი | 62 500,00 |
| სარაგბო ბაზა ,,რუსთავი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის კოსმეტიკური რემონტი | 312 500,00 |
| სარაგბო ბაზა ,,ქუთაისი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის კოსმეტიკური რემონტი | 75 000,00 |
| სარაგბო ბაზა ,,შევარდენი" 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის კოსმეტიკური რემონტი | 212 500,00 |
| სარაგბო კომპლექსი ,,ავჭალა"-ს რეკონსტრუქცია | 562 500,00 |
| სარკინიგზო სადგ. ურეკიდან ,,ბლექსი არენამდე" მისასვლელი გზის მშენებლობა | 448 828,00 |
| საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახმარება | 272 405,00 |
| სომხური დრამატული თეატრის რეაბილიტაცია | 350 000,00 |
| ურეკის თემატური პარკის მშენებლობა | 2 555 500,00 |
| ქონების დაგროვება და სხვადასხვა საგრანტო პროგრამების განხორციელება | 2 325 600,00 |
| ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტირება და მშენებლობა | 2 278 300,00 |
| ქუთაისში ბავშვთა რაგბის აკადემიის მშენებლობა | 2 280 000,00 |
| შადრევნის მოწყობა ს.ნატანებში საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ | 4 736 500,00 |
| შეკვეთილსა და წვერმაღალაში სარკინიგზო ბაქნების მოწყობა | 465 000,00 |
| ციხისძირის ინფრასტრუქტური მოწყობის მე-2 ეტაპი | 210 000,00 |
| ჯანდაცვა და სოც რეაბილიტაცია | 846 800,00 |

გამგეობის თავმჯდომარე — როსტომ ჩახნაძე

# საქართველოს „ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი“-ს საქმიანობის ანგარიში (2017 წელი)

| № | პროექტის დასახელება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ქ. სენაკში ა.ხორავას სახ. სახელ. დრამატული თეატრის 3 ეტაპის რეაბილიტაცია | 999680,00 |
| 2 | ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის რეაბილიტაცია - ასპინძის მუნიციპალიტეტი | 107900,10 |
| 3 | ქ. ლარნაკას მიმდებარედ ალამინოს წმ. გიორგის სახ. ეკლესიისა და მიმდებარე ტერიტორიის არქ-კვლევითი, აღდგენითი და საკონსერვ. სამუშაოები - კვიპროსის რესპუბლიკა | 51895,85 |
| 4 | გრაკლიანი გორას არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობის სამუშაოები 2 ეტაპი - კასპის მუნიციპალიტეტი | 429382,73 |
| 5 | ქ. მცხეთაში სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ისტორიული კიბის რეაბილიტაცია | 29800,46 |
| 6 | ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის რეაბილიტაცია 2 ეტაპი - ასპინძის მუნიციპალიტეტი | 458096,34 |
| 7 | სოფ. ზემო მაჩხაანის ყველაწმიდის სახ. დარბაზული ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | 38577,31 |
| 8 | სოფ. მირზაანის სასაფლაოზე მდებარე ალავერდის სახ. ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | 48689,98 |
| 9 | სოფ. ოჟიოს წმიდა ნინოს სახ. ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ახმეტის მუნიციპალიტეტი | 34420,84 |
| 10 | სოფ. ოჟიოს კვირაცხოვლის სახ. ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ახმეტის მუნიციპალიტეტი | 69588,09 |
| 11 | ანჩისხატის ეკლესიის კეთილმოწყობა და კარიბჭე-სამრეკლოს გვერდით მდებარე ტერიტორიაზეხის ნაგებობის განთავსების სამუშაოები - ქ. თბილისი | 90532,91 |
| 12 | ალევის „ოქროსკარიანი სამების„ სამონსატრო ნაგებობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - დუშეთის მუნიციპალიტეტი | 100636,83 |
| 13 | სოფ. ყუმურდოს ტაძრის რეაბილიტაციის 2 ეტაპი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | 599631,61 |
| 14 | მუცოს კომპლექსის 4ეტაპის რეაბილიტაცია 98,13,14,21,23,24 სახლები) - დუშეთის მუნიციპალიტეტი | 449596,29 |
| 15 | სოფ. მახათაურში, წმ. თევდორეს სახ. ეკლესიის 3 ეტაპის რეაბილიტაცია - საჩხერის მუნიციპალიტეტი | 105111,10 |
| 16 | ბახტრიონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დარბაზული ეკლესიის მუნის საყდარის რეაბილიტაცია - ახმეტის მუნიციპალიტეტი | 37874,35 |
| 17 | სოფ. ვარდისუბნის ნათლისმცემლის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - თელავის მუნიციპალიტეტი | 37199,57 |
| 18 | სოფ. ნაბოსლევის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - ტყიბულის მუნიციპალიტეტი | 37460,34 |
| 19 | სოფ. ურთხვას წმიდა გიორგის სახ. დარბაზული ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტი | 14342,19 |
| 20 | სოფ. უწლევის ღვთისმშობლის მიძინების სახ. დარბაზული ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტი | 17025,44 |
| 21 | სოფ. ბროლოსანის წმიდა გიორგის სახ. ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტი | 49459,00 |
| 22 | ქ. ფოთში ნიკო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია - 2 ეტაპი | 298523,59 |
| 23 | თევდორე წმინდანის სახ. ეკლესიის 2 ეტაპის რეაბილიტაცია - ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 79531,48 |
| 24 | სოფ. ჭელიშის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის რესტავრაცია 2 ეტაპი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 89026,20 |
| 25 | გოფანდის წმიდა გიორგის სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 74411,33 |
| 26 | სოფ. კოჭბაანის წმიდა გიორგის სახ. ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - თიანეთის მუნიციპალიტეტი | 8939,70 |
| 27 | სოფ. კარდენახის საბაწმიდის სახ. ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 6180,84 |
| 28 | სოფ. კარდენახის წმიდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 85552,53 |
| 29 | სოფ. კალაურის იოანე ნათლისმცემლის სახ. ეკლესიის 2 ეტაპის რეაბილიტაცია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 200711,91 |
| 30 | აწყურის ციხის რეაბილიტაცია - ახალციხის მუნიციპალიტეტი | 245762,47 |
| 31 | აწყურის ღვთისმშობლის სახ. ტაძრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია 2 ეტაპი - ახალციხის მუნიციპალიტეტი | 1497974,48 |
| 32 | გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის კოშკის რეაბილიტაცია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 78993,62 |

| | | |
|---|---|---|
| 33 | სოფ. ბაზალეთის „მაცხოვრის„ სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 96489,90 |
| 34 | გრიგოლ ხანცთელის ქუჩაზე მდებარე წმიდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - ქ. ქუთაისი | 61837,35 |
| 35 | ღვთისმშობლის ხარების სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - ქ. ქუთაისი | 49023,22 |
| 36 | მწვანეყვავილას მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია - ქ. ქუთაისი | 106991,05 |
| 37 | სოფ. გოჩაჯიხაიშის მაცხოვრის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - ხონის მუნიციპალიტეტი | 73780,36 |
| 38 | სოფ. ცხუნკურის ღვთისმშობლის შობის სახ. სატაძრო კომპლექსის სამრეკლოს რეაბილიტაცია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 49666,78 |
| 39 | სოფ. გოდოგანის ჯვარცმის (მაცხოვრის) სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 93295,25 |
| 40 | მწვანეყვავილას მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის 2ეტაპის რეაბილიტაცია, ქ. ქუთაისი | 115250,79 |
| 41 | სოფ. ხოვლეს წმ. კვირიკეს სახ. ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - კასპის მუნიციპალიტეტი | 4009,50 |
| 42 | სოფ. ვარჯაანის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - კასპის მუნიციპალიტეტი | 4841,10 |
| 43 | სოწ. ყინწვისის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის 2 ეტაპის რეაბილიტაცია - ქარელის მუნიციპალიტეტი | 122320,53 |
| 44 | სოფ. აწყურის წმიდა გიორგის (თეთრი გიორგი) სახ. ეკლესიის და სამრეკლოს რეაბილიტაცია - ახმეტის მუნიციპალიტეტი | 106040,33 |
| 45 | სოფ. იყალთოს წმიდა სტეფანე დიაკონის სახ. ეკლესიის 1 ეტაპის რეაბილიტაცია-რესტავრაცია - ახმეტის მუნიციპალიტეტი | 96963,11 |
| 46 | სოფ. ხახალაჯვარის დარბაზული ეკლესიის რესტავრაცია - ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 43229,38 |
| 47 | სოფ. ვარდიგორის მაცხოვრის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 124641,77 |
| 48 | სოფ. რუფოთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 116905,32 |
| 49 | სოფ. ჩაჟაშის ისტ. განაშენიანებაში არსებული საცხ. სახლების 3,11,14,20,21-2,22,23-2,37-1,30,30-1 რესტავრაცია-რეაბილიტაცია, მესტიის მუნიციპალიტეტი | 125000,00 |
| 50 | შორეთის სამონასტრო კომპლექსის მე-3 ეტაის რეაბილიტაცია - ასპინძის მუნიციპალიტეტი | 149828,75 |
| 51 | დავით გარეჯის გუმბათიანი ეკლესიის დაზიანებული უბნების რეაბილიტაცია - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 20953,67 |
| 52 | სოფ. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია 3ეტაპი - სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 377748,28 |
| 53 | სოფ. ბრილის მცირე სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია - ხაშურის მმუნიციპალიტეტი | 94311,13 |
| 54 | სოფ. მირზაანში ნიკო ფიროსმანიშვილის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციული კომპლექსის 2 ეტაპის რეაბილიტაცია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | 72681,54 |
| 55 | ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინარული კვლევა-მონიტორინგისა და საკონსულ. მომსახურეობის 4 ეტაპის ფარგლებში კლდის დაზიანებული მონაკვეთის გამაგრება-სტაბილიზაცია | 18222,14 |
| 56 | ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინარული კვლევა-მონიტორინგისა და საკონსულ. მომსახურეობის 4 ეტაპის ფარგლებში კლდის დაზიანებული მონაკვეთის გამაგრება-სტაბილიზაცია არეალი ტწ63 | 57394,66 |
| 57 | სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ელ. მომარაგების ქსელის რეაბილიტაცია - ქ. მცხეთა | 72926,51 |
| 58 | სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის შიდა ელ. სამონტაჟო და განათების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - ქ. მცხეთა | 50494,90 |
| 59 | სოფ. ჭოღას მთავარანგელოზის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი | 97869,86 |
| 60 | სოფ. ტაბაკინის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის სამრეკლოს მცირე რეაბილიტაცია - ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | 22038,85 |
| 61 | სოფ. ზემო ქვალონის წმიდა გიორგის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - ხობის მუნიციპალიტეტი | 226262,53 |
| 62 | ნოღას ციხის 2 ეტაპის რეაბილიტაცია - მარტვილის მუნიციპალიტეტი | 97543,97 |
| 63 | სოფ. ნორიოს წმიდა კოზმა და დამიანეს სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - გადრაბნის მუნიციპალიტეტი | 74053,65 |
| 64 | სოფ. გიორგიწმინდის კოშკი №2ის რეაბილიტაცია - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 51176,09 |
| 65 | სოფ. ბრეძას ზღუდარის ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ქარელის მუნიციპალიტეტი | 36825,45 |
| 66 | სოფ. ბოდბისხევის ყველაწმიდის „ღვთისმმშობლის მიძინების„ სახ. ეკლესიის გარშემოსასვლელისა და გადახურვის რეაბილიტაცია - სიღნაღის მუნიციპალიტეტი | 51899,71 |
| 67 | სოფ. ხოვლეს კვართის წმიდა გიორგის სახ. ეკლესიისა და კარიბჭე-სამრეკლოს რეაბილიტაცია - კასპის მუნიციპალიტეტი | 73975,59 |
| 68 | სოფ. ხოვლეში მდებარე კოშკი-სამრეკლოს რეაბილიტაცია - კასპის მუნიციპალიტეტი | 53208,35 |
| 69 | ქ. ზუგდიდის, დადიანების სასახლეთა კომპლექსის, ნიკო დადიანის სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია 4 ეტაპი | 985545,30 |

| | | |
|---|---|---|
| 70 | სოფ. ლიხაურის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიისა და კარიბჭე-სამრეკლოს მცირე რეაბილიტაცია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 38503,28 |
| 71 | სოფ. ქვაციხეს წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიაცია - ჭიათურის მუნიციპალაიტეტი | 28122,11 |
| 72 | სოფ. მანდეეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მცირე რეაბილიტაცია - ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 32176,18 |
| 73 | სოფ. ვაზისუბნის სამკარიანი წმიდა გიორგის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 69755,05 |
| 74 | სოფ. ვაზისუბნის სანაგირეს მონასტრის 3 ეტაპის რეაბილიტაცია - გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 20430,93 |
| 75 | ნასოფლარ ბალახაურის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია - ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 64088,80 |
| 76 | სოფ. მუსოპრიანის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია - ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 158462,98 |
| 77 | სოფ. სათერძეს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია - ქარელის მუნიციპალიტეტი | 119883,32 |
| 78 | თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაცია - ახალციხის მუნიციპალიტეტი | 68878,53 |
| 79 | უშგულის თემის სოფ. ჩაჟაშში მდებარე ნაგებობების რეაბილიტაცია 4 ეტაპი - მესტიის მუნიციპალიტეტი | 540407,85 |
| სულ | | **11688465,18** |

**სულ 2017 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ფონდის მიერ გრანტის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 13062333.03 ლარი. (ხარჯები: ხელფასი - 152048 ლარი, სხვადასხვა ხარჯი - 23591.91 ლარი)**

# საქართველოს „ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი" (2017 წლის ბალანსი)

| აქტივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| ნაღდი ფული სალაროში | -------- (1100) | 10 | 143,76 | 143,76 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | -------- (1200) | 20 | 1714513,68 | 3376758,23 |
| გადახდილი დღგ | ------------------------------- (3340) | 71 | 187113,21 | 268828,21 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | -------- (1480) | 80 | 7868,71 | 3590,16 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | -------- (1490) | 90 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | ***1909639,36*** | ***3649320,36*** |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | | | | |
| **სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | | 180 | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა | -------------- (2160) | 230 | 135,29 | 788,59 |
| სატრანსპორტო საშუალებები | -------------- (2180) | 240 | 19469,79 | 15575,83 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | ---------------------- | 250 | 942,94 | |
| არამატერიალური აქტივები | -------------- (2500) | 290 | 22,08 | 17,90 |
| | | 300 | ***20570,10*** | ***16382,32*** |
| | | 310 | ***1930209,46*** | ***3665702,68*** |

| პასივი | | კოდი (სტრ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| მიმდინარე ვალდებულებები | | | | |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებ;-- | (3110) | 310 | 495619,00 | 1937100,48 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | ------------------------ (3390) | 410 | | 25731,20 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | ------------------------ (3190) | 440 | | |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 450 | ***495619,00*** | ***1962831,68*** |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 500 | | |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება | -------------- (5490) | 530 | 1434590,46 | 1702871,00 |
| გაუნაწილებელი მოგება | ---------------------------------- (5310) | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი * | ---------------------------------- (5320) | 550 | 0,00 | 0,00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | 560 | ***1434590,46*** | ***1702871,00*** |
| სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი | | 570 | ***1930209,46*** | ***3665702,68*** |

## საქმიანობის შედეგების (მოგება-ზარალის) ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

| I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში | შემოსავლები | ხარჯები |
|---|---|---|
| **შემოსავლები** | | |
| საწევრო შენატანები | X | X |
| საპროცენტო შემოსავლები | X | X |
| დივიდენდები | X | X |
| გრანტი | 13062333,03 | X |
| შემოწირულობები | X | X |
| სხვა შემოსავლები | X | X |
| სულ შემოსავლები | 13062333,03 | X |
| **ხარჯები** | | |
| პროექტების მხარდაჭერის ხარჯი | X | 12618412,58 |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი | X | 175639,91 |
| სულ ხარჯები | X | 12794052,49 |
| | | |
| მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/ დეფიციტი) | 268280,54 | X |
| წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება) | 268280,54 | X |

# სააღდგომო ტრადიციები საქართველოსა და მსოფლიოში



მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მართლმადიდებლები აღდგომას სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ, თუმცა, წითლად შეღებილი კვერცხი ყველგან სააღდგომო სუფრის მთავარი და აუცილებელი ატრიბუტია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სანამ საქართველოში პასკის ცხობის ტრადიცია დამკვიდრდებოდა, ჩვენში სააღდგომოდ ქადების ცხობა იყო მიღებული. პასკა სიმბოლურად გოლგოთას მთას განასახიერებს, რომელზეც ქრისტე ეწამა.

ქრისტიანისთვის ყველაზე მძიმე დღე იესოს ჯვარცმის დღე - წითელი პარასკევია. სწორედ ამ დღეს იღებება კვერცხი წითლად, რაც მაცხოვრის მიერ კაციობრიობის გადასარჩენად დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. გადმოცემის მიხედვით, მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორს ტიბერიუსს ქრისტეს აღდგომა ახარა და ძღვნად კვერცხი მიართვა. ამ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო - უთხრა იმპერატორმა მარიამს. სიტყვა



დასრულებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა და სისხლისფერი გახდა, რამაც მორწმუნეებში კვერცხის შეღებვის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

საქართველოში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ოდითგან ზეიმთან, ლხინთან და შეჯიბრთან ასოცირდებოდა. ქართული სამეფო კარის სააღდგომო ტრადიციების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიულ წყაროებში.

უბრალო ადამიანები დღესასწაულს უფრო მოკრძალებულად აღნიშნავდნენ, თუმცა სააღდგომო სუფრას თითქმის ყველგან ამშვენებდა მოხარშული ღორის ხორცი და მრგვლად მოხარშული დედალი, ხაჭაპურები, ნაზუქები, (გურიაში ღვეზლები) შავი ღვინო და ტკბილეული. რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, ის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული იყო.

გურიაში აღდგომისთვის მთელი წელი ემზადებოდნენ. სპეციალურად ამ დღისთვის, ახალ ტანსაცმელს იკერავდნენ და ეკლესიაში ახლებში გამოწყობილი მიდიოდნენ.

გურიაში დღემდე არსებობს აღდგომის დღეს ლელობურთის თამაშის ტრადიცია. 16 კილოიან ტყავის ბურთს სილითა და ნაზერხით ავსებდნენ და თამაშიც იწყებოდა. წესების თანახმად, თამაშში მხოლოდ ადგილობრივები მონაწილეობენ და გამარჯვებულად ის გუნდი ცხადდება, რომელიც მათ მხარეს, წყლის არხამდე ბურთს გაიტანს.

ხევის მაცხოვრებლები სააღდგომო წირვის დასრულების შემდეგ, მიზანში სროლის შეჯიბრს აწყობდნენ. გამარჯვებული ჯილდოს ეკლესიას სწირავდა ან სოფლის საჭიროებას ახმარდა.

სამეგრელოში სააღდგომო წირვა შუაღამეს იწყებოდა. მანამდე კი ოჯახები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ: გოჭს წვავდნენ, პურებს, ხაჭაპურებს და ტკბილ კვერებს აცხობდნენ.

სვანეთში საზეიმო წირვის შემდეგ, დილას სასაფლაოზე გადიოდნენ და თან საკურთხი მიჰქონდათ. ეკლესიის მახლობლად, სოფლის საერთო მოედანზე საერთო ტრაპეზი იმართებოდა. ტრაპეზის შემდეგ კი სვანები ერთმანეთს ჭიდაობაში, დოღსა და ისრის სროლაში ეჯიბრებოდნენ.

აღდგომას საინტერესო ასპარეზობა იმართებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მშობლიურ ყაზბეგში. ახალგაზრდა მოისართა ჯგუფი სოფლის ყველა ოჯახს ჩამოივლიდა. ოჯახის წევრები წინასწარ შეღებილ სააღდგომო კვერცხებს ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, რომელი კვერცხი ვის სახელზე დაიდო. მოისრეები კვერცხებს ისრებს მონაცვლეობით ესროდნენ, სანამ ყველას არ გატეხდნენ.

საინტერესოა, როგორ ხვდებიან აღდგომას საქართველოს მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებში მცხოვრები მართლმადიდებლები?

ფილიპინებში ქრისტეს აღდგომას ადამიანები საკუთარი სურვილით ეკვრებიან ჯვარზე და ასე გამოხატავენ სიყვარულს მაცხოვრისადმი.

არანაკლებ უცნაური სააღდგომო ტრადიცია აქვთ ჩეხეთში. მამაკაცები ქალებს სპეციალური სააღდგომო შოლტებით სცემენ, სანაცვლოდ კი მათგან მადლიერების ნიშნად, შეღებილ კვერცხებს ან ფულს იღებენ. ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში, შესაძლოა, ქალებმა მადლიერება კოცნით ან რაღაც უფრო მეტით გამოხატონ..ეს ტრადიცია ქალების დასამცირებლად ან ტკივილის მისაყენებლად არ შექმნილა. პირიქით. ჩეხები დარწმუნებული არიან, რომ სააღდგომო გაშოლტვა ქალს უფრო ახალგაზრდას, ჯანმრთელს და ბედნიერს გახდის.

კვიპროსში აღდგომა მხოლოდ დღესასწაული კი არა, უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლების მიზეზია. საღამოს მოზარდები ქუჩაში გადაყრილი ძველი ხის ნივთების მოსაგროვებლად გამოდიან, რომ უზარმაზარი საერთო კოცონი ააგიზგიზონ. ამ კოცონის გარშემო საყოველთაო ზეიმი და მხიარულება იმართება. კვიპროსელები შეღებილ კვერცხებს გულმოდგინედ მალავენ, რომ ბავშვებმა იპოვონ.

ბერმუდის კუნძულებზე აღდგომის დღესასწაულზე ცაში სპეციალურ სააღდგომო ფრანებს უშვებენ. ფრანების შექმნაზე, დიზაინსა და პროექტირებაზე ოსტატები რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობენ. ცაში გაშვებული ფრანები იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებას განასახიერებენ. მათ შორის საუკეთესოს მფლობელებს ჯილდოს გადასცემენ, ფრანებს კი ანადგურებენ. ტრადიციის აზრი საუკეთესო ფრანის გამოვლენაში მდგომარეობს, ამიტომ ერთი და იგივე ფრანის ცაში ორჯერ გაშვებას აზრი არა აქვს.

ფლორენციელები აღდგომის დღესასწაულს იესოს საფლავის სიახლოვეს ნაპოვნი კაჟის დახმარებით, წმინდა ცეცხლის ანთებით იწყებენ. ამის შემდეგ, წმინდა ცეცხლით ანთებენ სანთელს, რომელსაც სპეციალურ, ცხრამეტრიანი სიმაღლის კალათაში ათავსებენ და მთელ ქალაქს შემოატარებენ. უკვე 300 წელია, ფლორენციელები წმინდა სანთლის გადასატანად ერთსა და იმავე კალათას იყენებენ. მოგვიანებით, ეკლესიის სამრეკლოდან თოკმობმულ, ხელოვნურ მტრედს უშვებენ და ზარებს მთელი ქალაქის გასაგონად რეკენ. ამის შემდეგ იწყება ფეიერვერკი, რომელიც თითქმის ნახევარი საათი გრძელდება. ფლორენციელებისთვის ფეიერვერკი კარგი მოსავლისა და წარმატებული ბიზნესის სიმბოლოა.

უცნაური და დაუჯერებელი სააღდგომო ტრადიცია აქვთ ნორვეგიაში. აღდგომას ოჯახი ერთად იკრიბება და მკვლელობაზე დაწერილ წიგნს კითხულობს ან მკვლელობაზე გადაღებულ ფილმს უყურებს. ოჯახის წევრები მსჯელობენ, ვინ ჩაიდინა მკვლელობა, ვისთვისაა ის მომგებიანი და ა.შ. ეს ტრადიცია იმდენად გავრცელებულია, რომ მსხვილი ნორვეგიული ტელეარხები პროგრამების შედგენისას ცდილობენ, რომ აღდგომას ტელევიზიით მხოლოდ საიდუმლოებით მოცული კრიმინალური ისტორიები გავიდეს. ამ ტრადიციას საინტერესოდ გამოეხმაურნენ რძის მწარმოებელი კომპანიები. მათ რძის სპეციალურ შეფუთვაში დეტექტიური ისტორიები ჩააყოლეს, პრინციპით - დაისხი რძე, წაიკითხე დეტექტივის გაგრძელება.



დანიაში აღდგომის დღესასწაული უფრო ჰელოუინს წააგავს. ბავშვები იცვამენ მონსტრების ან კუდიანების კოსტიუმებს და კარდაკარ დადიან, რომ უცნობი ადამიანებისგან ტკბილეული შეაგროვონ.

ფინეთში აღდგომა ზღაპრულ დღესასწაულს ჰგავს. ფინელები აკვირდებიან, როგორი იზრდება გაზაფხულის მოახლოვებისას ბალახი. მათი ბავშვები კი ამ ბალახს შეღებილი კვერცხებით და სააღდგომო კურდღლებით რთავენ.

საფრანგეთში აღდგომის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, დათქმულ დროს, იესოს მოწამეობრივი აღსასრულისა და გლოვის ნიშნად, ყველა ეკლესიის ზარი დუმდება. მშობლები შვილებს უყვებიან, რომ ზარები რომში, პაპის სანახავად გაფრინდნენ. როცა ზარები სამშობლოში ბრუნდებიან, მათ სანტა კლაუსის მსგავსად, ბავშვებისთვის საჩუქრები, მათ შორის, შეღებილი კვერცხები და კანფეტები ჩამოაქვთ.

გაუგონარი სააღდგომო ტრადიცია აქვთ ნორვეგიელებს. აღდგომის დადგომამდე ერთი კვირით ადრე, ქვეყანაში ყველაფერი იხურება: სკოლები, სამსახურები, ბანკები, მაღაზიები.. სურსათის მაღაზიების ნაწილი მხოლოდ აღდგომის წინა დღეს იხსნება და მას დამშეული ადამიანები აწყდებიან.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და მექსიკაში რამდენიმე საუკუნეა, აღდგომის წინ იუდას ფიტულს წვავენ. საჯარო გასამართლების შემდეგ, ფიტულს ყელზე თოკს აცვამენ, ხეზე კიდებენ და ცეცხლს უკიდებენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში იუდას ფიტულის ბედი შეიძლება რომელიმე არაპოპულარული პოლიტიკოსის ფიტულმა გაიზიაროს.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# იან ფლემინგი – მხიარული მზვერავი

**2008 წელს შესრულდა 100 წელი ცნობილი მწერლის იან ფლემინგის დაბადებიდან, რომელმაც ლეგენდარული აგენტი 007 ჯეიმს ბონდი შექმნა. იან ფლემინგის პიროვნებაც ისეთივე უნიკალურია, როგორც მისი სუპერგმირისა. ფლემინგის თაყვანისმცემლები თვლიან, რომ მისი გმირის თვისებებს მწერალი საკუთარი თავიდან „იწერდა“.**



### არისტოკრატი–კორესპონდენტი

იან ფლემინგი ქვეყანას 1908 წლის 28 მაისს დაიბადა. ეს მოვლენა ლონდონში მოხდა და ამის შესახებ იქაურ გაზეთებში დაიბეჭდა – არისტოკრატული და მდიდარი ოჯახის მემკვიდრის დაბადება მაღალი წრის ქრონიკის რეპორტიორების ყურადღებას იმსახურებდა.

ფლემინგს უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ სრულიად ბედნიერს მას ვერ უწოდებ. როცა ბიჭუნა 6 წლის გახდა, მისი მამა გმირულად დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში. გაზეთში დაბეჭდილი ნეკროლოგი თავად უინსტონ ჩერჩილის მიერ იყო დაწერილი, რომელიც აწ გარდაცვლილ მაიორ ვალენტაინ ფლემინგთან მეგობრობდა.

როდესაც იანი წამოიზარდა, წარმომავლობის, კავშირებისა და ფულის წყალობით მის წინ ყველა გზა ხსნილი იყო, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ყველაფერი იოლად მოგეცემა, არაფერი აღარ გიზიდავს. ფლემინგი პრესტიჟულ იტონში ძლივს სწავლობდა, ზარ-



მაცობდა და „ამორალური ქცევის გამო“ სასწავლებლიდან გარიცხეს კიდეც. იგი ასევე სწავლობდა მიუნხენისა და ჟენევის უნივერსიტეტებშიც.

ამის შემდეგ ფლემინგი სანდხერსტის სამხედრო კოლეჯში აღმოჩნდა, მაგრამ იქიდანაც გამოაგდეს სასწავლებლის თვითნებურად დატოვების გამო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, კოლეჯის ადმინისტრაციისთვის პატიების თხოვნა, მაგრამ ფლემინგისთვის სულ ერთი იყო – იგი ცხოვრებაში წინ მიიწევდა, მისთვის მთავარი იყო მხიარული ცხოვრება, ლამაზი გოგონების საზოგადოება, ძვირფასი ღვინოები და ძვირადღირებული ავტომობილები...

მაგრამ არისტოკრატი დედა სულაც არ აპირებდა უსაქმური შვილის ფულით უზრუნველყოფას და იმ დიდებულებით მის გარემოცვას, რასაც ჩვეული იყო. დედა აძალებდა იანს ესწავლა, გამოცდების ჩასაბარებლად საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნა, რათა დიპლომატი გამხდარიყო, მაგრამ იანმა ცუდი ნიშანი მიიღო ინგლისურში და დიპლომატიური კარიერა არ გამოუვიდა. დედას მთელი თავისი კავშირების გამოყენება დასჭირდა, რათა „უსწავლელი“ შვილი „ნაცნობობით“ მიეღოთ სააგენტო „როიტერში“ კორესპონდენტად. ახალმა სამუშაომ მთლიანად გაიტაცა ყველაფრისგან თავმობეზრებული მდიდარი იანი – აქ იყო თავგადასავლებიც, საფრთხეც, მოგზაურობაც და გარშემომყოფების პატივისცემაც...

### წერილი სტალინს

კორესპონდენტად მუშაობის პერიოდში სად აღარ ყოფილა ფლემინგი. მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სანტერესო მივლინება საბჭოთა რუსეთში, მოსკოვში შედგა. 1933 წელს საბჭოთა კავშირში მოხდა დიდი სკანდალი, რომელიც მშენებარე მეტროპოლიტენში მავნებლობას ეხებოდა.

საბჭოთა „მავნებლებს“ შორის აღმოჩნდა 6 ინგლისელი – ფირმა „მერტროპოლიტენ-ვიკერსის“ წარმომადგენლები. სწორედ უცხოელების არსებობამ შემატა ამ სკანდალს ახალი ნოტა – ბრალდება შპიონაჟში. რადგან 1939 წლამდე ჯერ კიდევ შორს იყო, ყველა უცხოელს მხოლოდ მცირე სასჯელი მიესაჯათ და შემდგომ ისინი მშვიდად დაბრუნდნენ ინგლისში. ფლემინგი პროცესს ესწრებოდა და ნანახით გაკვირვებული დარჩა. როგორც ყველა უცხოელი, ვერც იგი ჩასწვდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების არსს, იგი აშუქებდა ჯაშუშების პროცესს და ვერ ხედავდა მასში ვერც ფარსს და ვერც ტრაგედიას... მაგრამ ფლემინგის რერპორტაჟები ძალიან მოეწონათ სამშობლოში.

საინტერესოა, რომ მოგვიანებით ფლემინგმა წერილი მისწერა სტალინს, რომელშიც სთხოვდა, რომ ინტერვიუ მიეცა მისთვის. მაგრამ ყველა დროისა და ყველა ხალხების ბელადმა უპასუხა, რომ, სამწუხაროდ, მას ამისთვის თავისუფალი დრო არ აქვს...

### მზვერავი ფლემინგი

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფლემინგმა „როიტერიდან“ წასვლა გადაწყვიტა და საბანკო საქმეში აღმოჩნდა. გარშემომყოფთა გასაკვირად, იგი ძალიან სწრაფად გამდიდრდა. იყიდა ძვირადღირებული სახლი, დაიწყო ძვირფასი მანქანების შეძენა, აწყობდა დახვეწილ საღამოებს, სადაც განუსაზღვრელი რაოდენობით ისმებოდა საკოლექციო ღვინოები და მიირთმევდნენ უამრავ ხიზილალას...

მაგრამ მალე ფლემინგს მობეზრდა ბანკის თანამშრომლის ერთფეროვანი სამუშაო და საბირჟო მონაცემებისთვის თვალის მიდევნება, კვლავ მოუნდა თავგადასავლები, მოგზაურობები, საფრთხის შეგრძნება. და ფლემინგმა გადაწყვიტა, მზვერავი გამხდარიყო.

იან ფლემინგმა გამოიყენა ყველა ნაცნობობა, ყველა კავშირი და 1939 წელს იგი მზვერავი გახდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში. იან ფლემინგის ცხოვრების შესახებ ინფორმაციაში ერთმანეთში გადაჯაჭვული იყო სიმართლე და სიცრუე – ჯაშუშობის პერიოდში მისი მოღვაწეობის ფაქტები გასაიდუმლოებულია და ბიოგრაფები უძულებულნი არიან, მინიშნებებით მიხვდნენ, სინამდვილეში რა ხდებოდა.

დარწმუნებით არის ცნობილი, რომ იან ფლემინგმა დაზვერვაში მთელი მეორე მსოფლიო ომის პერიოდი გაატარა, იგი კოორდინირებას უწევდა ამერიკელ მეკავშირეებთან მუშაობას, ხელმძღვანელობდა ნორვეგიელ სამხედრო ტყვეების გათავისუფლებას მცურავი ციხიდან, იყო დაკავებული გერმანელების საიდუმლო ლაბორატორიების ადგილმდებარეობის დადგენით, რომლებიც რაკეტა „ფაუს“ აწარმოებდნენ. მასვე მიაწერენ ალბანეთის მეფის ევაკუაციის ოპერაციას და მარტინ ბორმანის მოტაცებას... გარდა ამისა, ფლემინგმა ნამდვილი ჯაშუშის „ტყავშიც იცხოვრა“ – იგი ცხოვრობდა ოკუპირებულ საფრანგეთში არალეგალურად და იყო დივერსიული რაზმის წევრი.

ამბობენ, რომ სწორედ დაზვერვაში მუშაობისას გაუღვივდა ფლემინგს ლიტერატურული ნიჭი – მისი ანგარიშებს გაწეული სამუშაოს შესახებ თვალს ვერ წყვეტდნენ, იმდენად ორიგინალური და ფერადოვანი იყო ისინი.

და მალევე ფლემინგს მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი ნიჭი სრულად გამოევლინა.

### წელს ქვემოთ

1946 წელს ფლემინგს მობეზრდა სადაზვერვო თამაშები და თადარიგში გავიდა. ცოტა ხნით ადრე იგი იამაიკაზე მოხვდა და მას ეს ადგილი დედამიწაზე სამოთხედ მოეჩვენა. ფლემინგმა გადაწყვიტა, ამ კუნძულზე მამული ეყიდა და არაჩვეულებრივ ბუნებასა და კეთილგანწყობილ ადამიანებს შორის ეცხოვრა. დროის ნაწილს კვლავ ლონდონში ატარებდა, სადაც თავისდა საუბედუროდ გაიცნო ლედი ანა როტერმერი. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება, რომელმაც გამოცდილი მზვერავი „ძირს დასცა“...

ლედი ანა გათხოვილი იყო და უბედური შეყვარებული იამაიკაზე დარჩა, თავის მამულში „ოქროს თვალი“, სადაც გადაწყვიტა, დაეწერა რომანი მზვერავების შესახებ. მოგვიანებით ფლემინგი აღიარებდა, რომ მის მიერ გამოგონილი სუპერაგენტი ჯეიმს ბონდი მისი მსხნელი აღმოჩნდა – ლიტერატურული პერსონაჟის დაუცხრომელი ენერგია მის შემქმნელს უშრეტ შთაგონებას ანიჭებდა! და გაუზიარებელი სიყვარულის ვნებანი მეორე პლანზე გადადიოდა.

პირველი რომანი გამომცემლებმა ცუდად მიიღეს, მაგრამ მკითხველები მაშინვე დაინტერესდნენ აღუშფოთებელი, მშვიდი და გონიერი ბონდის თავგადასავლებით და მოითხოვდნენ გაგრძელებას. ფლემინგი აგრძელებდა მუშაობას და მალე ყოველი მისი ახალი რომანი მილიონობით ტირაჟებით იყიდებოდა და შემქმნელისთვის ბევრი ფული და სახელი მოჰქონდა. მწერალს თაყვანისმცემლები ყველა ქვეყანაში გაუჩნდა. ამერიკის პრეზიდენტმა, ჯონ კენედიმაც აღიარა, რომ მისი საყვარელი რომანი იყო „სიყვარულით – რუსეთიდან“.

ჯეიმს ბონდი კი კვლავ და კვლავ ახალი მკითხველების გულებს იპყრობდა. ფლემინგი ამბობდა, რომ თავის წიგნებში უმიზნებს „წელს ქვემოთ“ – ესე იგი, მდაბალ გრძნობებზე თამაშობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯეიმს ბონდი ყოველთვის ამარცხებდა ბოროტებას. ჯეიმს ბონდის ცნობილ ნომერში „007“ ორი ნოლი აღნიშნავდა, რომ მას მოკვლის უფლება აქვს...

თავად ფლემინგი საკუთარ წიგნებს საკმაოდ არასერიოზულად უყურებდა. ის ამბობდა: „წიგნებს წერენ სახელის, სიამოვნებისა და ფულისთვის. მე ვწერ სიამოვნებისა და ფულისთვის“. მისი ჰონორარები იზრდებოდა და იზრდებოდა. ფლემინგმა იყიდა ციხესიმაგრე ლონდონის მახლობლად და ხან იქ ცხოვრობდადა ხან იამაიკაზე. საყვარელმა ქალმა, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტა, მეუღლეს გაყროდა და ფლემინგთან წასულიყო.

იან ფლემინგის ცხოვრება ზღაპარს ჰგავდა – სიყვარული, წარმატება, ფული, მრავალფეროვანი ინტერესები. წერისგან თავისუფალ დროს ფლემინგი წყალქვეშა ცურვით იყო გადაცებული – იგი მონაწილეობას იღებდა ექსპედიციებში ჟაკ-ივ კუსტოსთან ერთად, ეძებდა მეკობრეთა დამალულ ძვირფასეულობებსა და ჩაძირულ გაძეულს...

დაიწყეს მისი წიგნების ეკრანიზაცია, რამაც მას კიდევ უფრო მეტი სახელი და ფული მოუტანა.

მაგრამ ფლემინგმა სამყაროსთან ჰარმონიაში დიდხანს ვერ იცხოვრა. 1964 წლის 10 აგვისტოს გოლფის თამაშის დროს თავი ცუდად იგრძნო, 13 აგვისტოს ღამეს კი გარდაიცვალა გულის შეტევით.

მაგრამ ბონდიანა მისი სიკვდილის შემდეგ არ დასრულებულა. წიგნები და ფილმები მოუხელთებელი აგენტ 007-ის შესახებ კვლავ გამოდის. თუმცა, ფლემინგის თაყვანისმცემლები თვლიან, რომ ბონდის შესახებ ვერასდროს ვერავინ ველარ დაწერს, რადგან იან ფლემინგი მის სახეს საკუთარი თავიდან „იწერდა“.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



1. ძველი სამეფო საქართველოში
2. იტალიელი არქიტექტორი
3. შუა სს. სიხე-ქალაქი საქართველოში
4. პირ-ფერ. სიმღერა
5. ქრისტეს სამშობლოს ქალაქი
6. ფრანგი კომიკოსი
7. მეფე-ქალის ერთ-ერთი ელემენტი
8. ლექსის სტრიქონი
9. მისწრაფება
10. არომატული სანელებელი
11. სარწყავი ხარშ-თელი
12. ფეხბურთის სამხედრო ... თავ. წარმოსახვის
13. ... გრიგა
14. პარკის მიმაგ-რებული ელემენტი
15. ძველი სიმღერის კომიკოსი
16. შტამპილი ფერმწერი
17. ფეიქრ კლდიაშვილის მოთხრობა
18. ტიმბის მოკლე მინავარი
19. სამხედრო მოსამართლე (ძველად)
20. სამხარეო ვექილი (ძველად)
21. რუსი მხატვარი ქალი
22. თხელი ხავერდი ქსოვილი
23. სავარძლის მოლონ-ბეჭდვა
24. საბერძნეთის ვაჭრ-ისტორიკოსი
25. ლითი ჩაქუჩი
26. ბერძ. ქრისტიანი მწერალი კარდინალი
27. ფელდმარშალი
28. ზ. ძალიანიძის მოთხრობა
29. მწიგნობარი
30. კოროლის სიტყვა (მით.)
31. „კრეფის მამავლის" ავტორი
32. კავკასიის მთიელთა სიმღერა
33. მავნებელი
34. საქართველოს ლითონი მოფარდი
35. ქართველი მწერალი ... ბერიძე



# კროსვორდი

შვეულად: 1. სიმფონიური ორკესტრის სოლისტი, პირველი მევიოლინე. 2. განამარხებული გიგანტური ქვეწარმავალი. 3. ალექსანდრე მაკედონელის მამა. 4. ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის, თვისებების მქონე ადამიანები. 5. მსახიობი, თავადი აფთანდილის როლში ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". 6. გერმანული ძველებური თოფი. 7. ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება. 12. ფეხბურთელი ზლატან ... 14. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში. 15. მარადმწვანე დეკორატიული ხე, მომრგვალებული რბილი გირჩებით. 18. ავსტრიელი კომპოზიტორი „ვალსების მეფე". 20. საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი. 21. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. 22. დრამატურგი „ეზოში ავი ძაღლის" ავტორი ... ბუაჩიძე. 23. იაპონიის ლეგენდარი კუნძული. 25. მამაკაცის გაკრეჭის ფასონი. 26. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი. 28. მეგრული შემწვარი ... მიქაცა. 30. მაგარი მინერალი.

თარაზულად: 5. რისამე არსებობის კვალი, ადრე არსებულის ნიშანი. 8. პირი, რომელიც ზედამხედველობს სავაჭრო გარიგებებს და ამისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იღ-ებს. 9. მწყემსი, რომელიც დილის დროს დედა ცხვარს უპოვის და მიაგდებს ბატკანს. 10. მისხვეური ადგილი. 11. ფილმი უილისსა და ლიზ ტაილორის მონაწილეობით. 13. იტალიის ფაშისტი დიქტატორი ... მუსოლინი. 16. კვარცის ნაირსახეობა, ეშმი, იასპი. 17. ამერიკული ტანკი. 19. ვისიმე თანმხლები სამხედრო დაცვა. 23. წამლით დასველებული ტილოს ნაჭერი, რომელსაც იდებენ მტკივნეულ ადგილზე მკურნალობის მიზნით. 24. მცირე ხარისხი, რომელზეც შედარებით მაღალი ითიხვნის. 26. ცვლილება ამერიკის კონტინენტებში. 27. უკრაინელი მომღერალი მამაკაცი რუსეთის ესტრადაზე ქალის იმიჯით. 29. სულის ხუთვა. 31. 3 ნაწილიანი მუს. ნაწარმოები ერთიორი საკრავისათვის. 32. ქვეყანა დსთ-ში.

# ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ა | ბ | ო | რ | ი | ზ | პ | რ | ა | ი | ა | ი | ტ |
| ს | დ | ნ | ე | ი | ნ | ე | ე | რ | ა | ფ | ფ | ლ | ო |
| ფ | ე | მ | ი | ნ | ე | ფ | ლ | ბ | მ | ი | ბ | ს | ე |
| ა | ლ | ი | ა | ი | ვ | ს | ი | ს | ნ | ი | ა | მ | ნ |
| ლ | ა | პ | ი | ო | ე | კ | პ | ა | უ | ლ | ლ | ა | ი |
| ა | ტ | ა | ს | მ | დ | ა | ლ | კ | ა | ე | ბ | ლ | ვ |
| ი | შ | ი | ა | ი | ა | ლ | ე | მ | მ | ვ | ე | ა | ა |
| ი | ე | შ | ი | კ | ს | ფ | ი | ო | რ | ი | თ | რ | რ |
| დ | ა | რ | ა | ი | ფ | ი | ტ | ბ | ა | ნ | ა | ო | ა |
| რ | ა | პ | პ | ს | ლ | ი | ა | ა | ფ | ა | ს | დ | ნ |
| ნ | ა | ს | ი | ი | კ | ო | რ | ი | შ | ი | ნ | ე | ი |

1. ინგლისური ლიტერატურის უძველესი ძეგლები. 2. ხერხემლის ნაწილი. 3. სიცილიური კეთილშობილეობის ფისი. 4. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 5. სახელმწიფოს პოლიტიკური პოლიცია. 6. აღმოსავლური მოსახლეობა. 7. კეთრი ანუ ... 8. პალმა, რომელსაც აქვს მოკლე ტანი და გიგანტური ვარჯი. 9. მეცნიერე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია ვარკვეულ არეში. 10. მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარე. 11. მტაცებელი ფრინველი. 12. ორის საშრობი ელექტროვენტილატორი. 13. თავის კანი თმებიანად. 14. ალლუმი ანუ... 15. ნორვეგიელი დრამატურგი. 16. ავადმყოფის ოთახი. 17. მდინარე საქართველოში. 18. სავყდრის ნურგის ანთება. 19. დიდი ხელიკი. 20. ქალაქი იტალიაში. 21. ვენების ერთობლიობა. 22. გერმანული დინასტია. 23. ამერიკელი მოგზაური არტურ ... 24. გრძელი და ვიწრო ხორხტული ნავი. 25. ნახევრის მუსიკალური საკრავი. 26. ფრანგი მოქანდაკე. 27. საშვილოსნოს ფუფუნქლიკა. 28. იაპონიაში: ზედაპირიანი მიმართვა ადამიანისადმი. 29. ქალაქ-სახელმწიფო ათენის მართველობის სახეა.

# ფიფრვორდი

ა-4, ბ-17, გ-, დ-, ე-, ვ-, ზ-, თ-, ი-19, კ-13, ლ-1, მ-32, ნ-, ო-7, პ-, ჟ-, რ-

ს-, ტ-, უ-, ფ-, ქ-, ღ-, ყ-, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-, ჭ-, ხ-, ჯ-, ჰ-

# კომანდანტე ფიდელი

ა.წ. 25 ნოემბერს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ყველასთვის ცნობილი კომანდანტე, სახელგანთქმული კუბელი რევოლუციონერი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, კუბის ყოფილი პრეზიდენტი ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი.

მიუხედავად იმისა, ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ფიდელ კასტროს მიმართ, იგი უკვე დიდი ხანია მსოფლიო ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფიდელ კასტრო მდიდარ ოჯახში დაიბადა 1926 წლის 13 აგვისტოს

(მამამისს რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა ჰქონდა) და იურიდიული განათლება მიიღო. მამა ფიქრობდა, რომ ვაჟი მის საქმეს განაგრძობდა, მაგრამ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას ფიდელმა მარქსიზმი აღმოაჩინა... „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ულრანი ტყიდან გამოსასვლელი ვიპოვე!“ — იტყვის მოგვიანებით დაუღალავი ორატორი. რომელიც თავით გადაეშვა კუბის რევოლუციის მორევში. იმ პერიოდში მას მხოლოდ 82 მხარდამჭერი ჰყავდა. მათ დიქტატორი ბატისტა ჩამოაგდეს და 1959 წელს 33 წლის ფიდელი კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გახდა.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს სახელგანთქმული კუბელი რევოლუციონერის ცხოვრებიდან.





● ფიდელ კასტრო მსოფლიოში მესამე მმართველი იყო, ინგლისის დედოფალ ელიზაბეთისა და ტაილანდის მეფის შემდეგ, რომელიც ყველაზე დიდხანს იყო ქვეყნის სათავეში.

● ცხოვრების მანძილზე ფიდელზე 638 თავდასხმა განხორციელდა. როცა საუბარი ამ თემას შეეხებოდა ხოლმე, იგი ამბობდა, „გადარჩენისთვის ჯილდოებს რომ იძლეოდნენ, მე ოქროს მედალოსანი და მსოფლიო ჩემპიონი ვიქნებოდიო“.

● „ორჯერ ვერ მოკვდები!“ — წერენ პოეტები პატრიოტულ ლექსებში, თუმცა ფიდელ კასტრო ნამდვილ გარდაცვალებამდე ექვსჯერ „მოკვდა“: 1986 წელს ინსულტით, 1994 წელს მორიგი თავდასხმის გამო, 2006 წელს ნაწლავური სისხლისდენის, 2007 წელს ამერიკელი ლტოლვილების ხელით, 2009 წელს კიდევ ერთი თავდასხმის გამო. 2012 წელს ხმები დადიოდა, თითქოს კუბის რევოლუციის ლიდერი ინსულტის შემდეგ ვერ მომჯობინდება და მისი ტვინი თანდათან კვდება, თუმცა 2012 წლის ოქტომბერში ფიდელი ხალხში გამოჩნდა და მშვენივრად აგრძელებდა ურთიერთობას მათთან.

● კომანდანტეს ძალიან უყვარდა ქალები. მის ცხოვრებაში რამდენიმე ასეული ქალი არსებობდა, ოფიციალურად კი მხოლოდ სამი. მისი თანამებრძოლები ამტკიცებდნენ, რომ „იგი ქვეყანასაც ისე ფლობდა, როგორც ქალს და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდა“.

● კუბაზე კომუნიზმის ჩამოყალიბების გამო ფიდელ კასტრო 1962 წელს ეკლესიიდან განკვეთეს.

● ამერიკა დაუღალავად ცდილობდა ფიდელ კასტროს რეჟიმის განადგურებას. მათი ერთ-ერთი გამოგონება იყო ყველა უკმაყოფილო კუბელის ამერიკაში თავისუფალი ემიგრაცია. კომანდანტემ ამაზე ფრიად მახვილგონივრული სვლა მოიფიქრა: იგი იძულებით ასახლებდა ამერიკაში კუბის ყველაზე საშიშ დამნაშავეებს, რომლებსაც ციხეებიდან უშვებდა.

● კომანდანტეს ძალიან მოსწონდა ღოლეხ-ის საათები. ბევრ ფოტოზე მას მაჯაზე ამ ფირმის ორი საათი უკეთია.

● 2000 წელს კასტრომ შოკში ჩააგდო საზოგადოება, როცა პირველი მაისის ზეიმზე გამოცხადდა თავის ხაკისფერ ფრენჩსა და თეთრ ბოტასებში. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ახსნა, რით იყო გამოწვეული მისი ეპატაჟური ჩაცმულობა. აღმოჩნდა, რომ ეს რომელიღაც უცხოური ფირმის რეკლამა იყო, რომელმაც ამის სანაცვლოდ კუბელი ბავშვებისა და სპორტსმენებისთვის დიდი პარტია სხვადასხვა ფერის ეს სპორტული ფეხსაცმელი შეიტანა ქვეყანაში.

● ფიდელ კასტრო შესანიშნავი კულინარი იყო. მას ძალზე მოსწონდა სპაგეტის მომზადება საკუთარი რეცეპტებით.

● ყველაზე ხანგრძლივი გამოსვლის გამო ფიდელი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. კომპარტიის მესამე ყრილობაზე ჰავანაში მან ილაპარაკა 7 საათი და 10 წუთის განმავლობაში, რაც სააგენტო „როიტერმა“ დააფიქსირა.



● ფიდელი ძალიან ბევრს ეწეოდა. მან შეძლო უარი ეთქვა ამ მავნე ჩვევაზე! ესდ იმ წელს მოხდა, როცა 59 წლის გახდა. თუმცა კუბურ სიგარაზე უარის თქმა, რომელიც მსოფლიოში კონტრაბანდული გზით შედის, ძალიან ძნელია, ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად, მოწევაზე უარის თქმა უფრო ძნელია! ალბათ, იმაზე ფიქრი დაეხმარა, რომ სიგარების დიდი წილი ამერიკაში გადიოდა ექსპორტით. „ყველაზე უკეთესი, რაც შეგიძლიათ მოიმოქმედოთ, ის არის, რომ სიგარის ყუთი მტერს აჩუქოთ!“ — ამბობდა კომანდანტე.

● ფიდელის ერთ-ერთი გატაცება წყალქვეშა ნადირობა იყო. სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანმა ჩაყვინთვებმა ფილტვების პრობლემებამდე მიიყვანა იგი. მათი ვენტილაცია და ჟანგბადით ქსოვილის უზრუნველყოფა დარღვეული იყო. ამიტომ რთული ოპერაციის მიუხედავად, კასტრო იძულებული იყო მუდმივად ეტარებინა თერმოკოსტიუმი.

● კომანდანტეს ძალზე მოსწონდა ხანგრძლივი მონოლოგები სხვადასხვა თემაზე, ხშირად ისეთ თემებზეც, რომლებიც სრულიად არ იყო კავშირში კუბის ბედთან. მაგალითისთვის, მას შეეძლო სამი საათი ელაპარაკა რომელიმე ამერიკელ კონგრესმენთან იმის შესახებ, როგორ უნდა გაზრდილიყო ძროხების წველადობა. უცხოელი სტუმარი უხერხულად იღიმება... ექსტრავაგანტურია? შესაძლოა. თუმცა ეს ფიდელ კასტროს ერუდიციის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

● 2005 წელს ჟურნალმა **Forbes**-მა ფიდელ კასტროს ქონება 550 მლნ დოლარად შეაფასა, ხოლო 2006 წელს უკვე 900 მლნ-ზე იყო საუბარი. თავად კოპმენდანტე კი ამბობდა, რომ მისი ქონება ერთ ჯიბეში ჩაეტეოდა.





საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983